



საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
საჯარო სამართლის იურიდიული პირი
გარემოს ეროვნული სააგენტო

ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზ. №150 ტელ.: +995 32 243 95 03; ფაქსი: +995 32 243 95 02

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 467/ს
16/11/2022

467-21-4-202211161059



ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციაზე სკრინინგის გადაწყვეტილების შესახებ

შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ მიერ, გზშ-ის ჩატარების საჭიროების დადგენის მიზნით, სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოში წარმოდგენილია ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში, კომპანიის საკუთრებაში არსებულ სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 127 144 მ² ფართობის მქონე მიწის ნაკვეთზე (ს/კ: 43.12.47.555), გაშენებული აქვს ლურჯი მოცვის პლანტაცია, რისთვისაც ტერიტორიაზე მოწყობილია წვეთოვანი სამელიორაციო (სარწყავი) სისტემა, აგრეთვე, საოფისე და სატუმბო დანადგარის განთავსების შენობები. ტერიტორიას ირგვლივ ესაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და სახელმწიფო ტყის ტერიტორია. უახლოესი საცხოვრებელი სახლი ტერიტორიის საკადასტრო საზღვრიდან დაშორებულია დაახლოებით 280 მეტრით, ხოლო მდ. უმპია მიედინება უშუალოდ ტერიტორიის საკადასტრო საზღვრის გასწვრივ.

სკრინინგის განცხადების თანახმად, მოცვის ბალის ტერიტორიაზე სამელიორაციო (სარწყავი) სისტემა უკვე მოწყობილია. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული წარმოების მასალები, შემდგომი რეაგირების მიზნით, გადაეგზავნა სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მოსარწყავად წყალაღება ხორციელდება მდ. უმპიადან. წყალაღების წერტილის GPS კოორდინატებია: X-740355.956; Y-4703882.720. წყალაღების წერტილიდან დაახლოებით ორ მეტრში (GPS კოორდინატები: X-740358; Y-4703884) განთავსებულია ზედაპირული წყლის ტუმბო (სიმძლავრე 4 კვტ, წარმადობა 15 მ³ /სთ). მდინარიდან ამოღებული წყალი, ტუმბოს მეშვეობით, მაგისტრალური პოლიმერული მილების გავლით იკრიბება სამარაგო რეზერვუარში, რომელიც განთავსებულია მიწის ზედაპირზე შემდეგ კოორდინატებზე: X-740302.349; Y-4704103.262. რეზერვუარის სიმაღლეა 2,60 მეტრი, დიამეტრი 13,5 მეტრი, ხოლო მოცულობა 340 მ³, იგი დამზადებულია გალავანიზებული, უჟანგავი ლითონით, მემბრანაიანი

შიგთავსით. ტუმბოდან რეზერვუარამდე მიმავალი მილის სიგრძეა დაახლოებით 200 მ, ხოლო დიამეტრი 75 მმ. აღნიშნული მილები განთავსებულია მიწის ქვეშ, დაახლოებით 60 სმ-ზე. რეზერვუარიდან წყალი 7,5 კვტ და 15 მ³/სთ წარმადობის მქონე ტუმბოს მეშვეობით მიეწოდება მიწის ნაკვეთების ტერიტორიაზე მოწყობილ წვეთოვან სარწყავ სისტემას. ბაღის ტერიტორიაზე შიდა დაქსელვისთვის გამოყენებულია პოლიმერული მილები, რომლებიც აღჭურვილია კომპენსირებადი საწვეთურით ყოველ 0,5 მ-ში. მოცვის ბაღის ტერიტორიაზე დაქსელვის სიგრძე ჯამურად შეადგენს 3138 მეტრს.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, ლურჯი მოცვის ნერგების მორწყვა ხორციელდება მთელი წლის განმავლობაში. ზაფხულის თვეებში ყოველდღიურად, ხოლო წლის სხვა დროს სამ დღეში ერთხელ. გამოსაყენებელი წყლის მოცულობა წელიწადში შეადგენს დაახლოებით 5000 მ³-ს. ამასთან, აღსანიშნავია, რომ კომპანია მოცემული წყალაღების წერტილიდან ჯამურად იღებს 10 000 მ³ წყალს, საიდანაც 5000 მ³-ს იყენებს საკუთარი მოხმარებისთვის, ხოლო 5000 მ³-ს ხელშეკრულების საფუძველზე აწვდის შპს „საქართველოს მოსავალის“ საკუთრებაში არსებულ ანალოგიური ტიპის მოცვის ბაღს.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მომსახურე პერსონალის საჭიროებებისთვის ტერიტორიაზე მოწყობილია მარტივი კონსტრუქციის საოფისე შენობა და ბიოტუალეტი, რომელიც პერიოდულად იწმინდება მუნიციპალიტეტის შესაბამისი სამსახურის მიერ, შესაბამისად, სამეურნეო-ფეკალური წყლებით ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურება მოსალოდნელი არ არის. დასაქმებულთათვის საჭირო სასმელ-სამეურნეო წყლის შემოტანა ხორციელდება ბუტილირებული სახით. მოცვის ბაღის ექსპლუატაციის ეტაპზე მუდმივად დასაქმებულია 10 ადამიანი. შერჩეულ ტერიტორიამდე, კერძოდ კი უშუალოდ ბაღის და წყალაღების წერტილამდე მიდის არსებული, ასფალტირებული გზა, რომელიც დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს მოწყობის ან სარემონტო სამუშაოებს.

სკრინინგის განცხადების თანახმად, ობიექტზე სამელიორაციო სისტემა უკვე მოწყობილია და არ საჭიროებს დამატებით სამშენებლო სამუშაოების განხორციელებას, შესაბამისად ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. რაც შეეხება სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებას, საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, იგი არ არის დაკავშირებული ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სარწყავი სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელების ძირითადი წყაროა წყლის ორი ტუმბო, რომელთაგან ერთი მოთავსებულია სატუმბო ოთახში, ხოლო მეორე წყალაღების წერტილის მიმდებარედ, მიწის ზედაპირზე. აღნიშნული ტუმბოები არის დაბალი წარმადობის, აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ერთ-ერთი მათგანი განთავსებულია დახურულ სივრცეში, შესაბამისად სამელიორაციო სისტემის ექსპლუატაციის ეტაპზე, ხმაურის გავრცელებით გამოწვეული ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

სკრინინგის განცხადების მიხედვით, სარწყავი სისტემის ექსპლუატაცია დაკავშირებული არ არის სახიფათო ან არასახიფათო ნარჩენებს წარმოქმნასთან. ტერიტორიაზე მუნიციპალური ნარჩენების წარმოქმნას ადგილი აქვს მხოლოდ დასაქმებული პირებისთვის განკუთვნილ საოფისე შენობაში. აღნიშნული ნარჩენი გროვდება შესაბამის კონტეინერში და გადაეცემა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დასუფთავების სამსახურს, ხელშეკრულების საფუძველზე.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის თანახმად, სარწყავი სისტემის განთავსების ტერიტორია, წლების განმავლობაში გამოიყენებოდა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით და იგი თავისუფალია მცენარეული საფარისაგან. საქმიანობა არ არის დაკავშირებული ბიომრავალფეროვნების კომპონენტებზე მოსალოდნელ ზემოქმედებასთან. ტერიტორია არ მდებარეობს დაცული ტერიტორიების, არქეოლოგიური და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიახლოვეს. როგორც უკვე აღინიშნა, მიწის ნაკვეთის მომიჯნავედ მდებარეობს სახელმწიფო ტყე, თუმცა საქმიანობის სპეციფიკის გათვალისწინებით, სამელიორაციო სისტემის ფუნქციონირებით, სახელმწიფო ტყეზე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, მდ. უმპიას ნაპირის ვიზუალური დათვალიერების შედეგად, შერჩეული წყალაღების წერტილიდან 500 მეტრიან რადიუსში სხვა წყალმომხმარებელი არ ფიქსირდება, შესაბამისად საქმიანობის შედეგად კუმულაციური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ზემოაღნიშნული მოცვის ბაღის მიმდებარედ, შპს „საქართველოს მოსავალის“ არსებული ანალოგიური ტიპის ბაღის მორწყვისთვის შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ უზრუნველყოფს თავისივე წყალაღების წერტილიდან დამატებით 5000 მ³ წყლის ამოღებას და მიწოდებას, ჯამურად აღებული წყლის მოცულობა წლის განმავლობაში შეადგენს 10 000 მ³-ს.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, სკრინინგის განცხადება გამოქვეყნდა სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და გადაეზავნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიას საინფორმაციო დაფაზე განთავსების მიზნით. ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, საზოგადოების მხრიდან, აღნიშნულ საქმიანობასთან დაკავშირებით, წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები სააგენტოში არ ყოფილა წარმოდგენილი.

სკრინინგის განცხადების შესწავლით დგინდება, რომ საქმიანობის სპეციფიკის, ადგილმდებარეობისა და მასშტაბის გათვალისწინებით, სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია არ იქნება დაკავშირებული გარემოზე მნიშვნელოვან ზემოქმედებასთან.

ზემოაღნიშნული კრიტერიუმების გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილისა და ამავე კოდექსის II დანართის პირველი პუნქტის 1.3 ქვეპუნქტის საფუძველზე,


ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. მიღებულ იქნეს სკრინინგის გადაწყვეტილება, რომ ზუგდიდის მუნიციპალიტეტში, სოფ. ნარაზენში, შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ სამელიორაციო (სარწყავი) სისტემის ექსპლუატაცია არ დაექვემდებაროს გარემოზე ზემოქმედების შეფასებას;
2. შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ ვალდებულია „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-8 ნაწილის შესაბამისად, უზრუნველყოს გარემოსდაცვითი ტექნიკური რეგლამენტებით დადგენილი მოთხოვნებისა და გარემოსდაცვითი ნორმების დაცვა;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ლურჯი მოცვი საქართველოდან“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში გადაწყვეტილება განთავსდეს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე და ზუგდიდის

მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს
საინფორმაციო დაფაზე;

6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ
საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6) მხარის მიერ მისი
ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

თამარ შარაშიძე



სააგენტოს უფროსი - მ.შ.

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო